Gmail

gldani colleje <gldanicolleje@gmail.com>

შეთანხმება CPV კოდებზე: 30100000 და 39500000

2 წერილი

gldani colleje <gldanicolleje@gmail.com> 5 აპრილი, 2022, 11:37

ვის: con spa gov ge <con@spa.gov.ge>

მოგესალმებით სსიპ კოლეჯი ,,გლდანის პროფესიული მომზადების ცენტრი"-დან (ს/ნ 200279448).
გაცნობებთ, რომ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახურის პროექტის „ისწავლე და დასაქმდი" ფარგლებში შემუშავებული სსიპ - კოლეჯ „გლდანის პროფესიული მომზადების ცენტრის" დირექტორის 2021 წლის 17 დეკემბრის №77/გ დამტკიცებული მოკლევადიანი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „ტანსაცმლის დიზაინი და კერვა"-ს სასწავლო პროცესის განხორციელებისათვის საჭიროა დანართ N1-ში მითითებული საქონლის შესყიდვა CPV კოდი 39560000 - სხვადასხვა ქსოვილის ნივთები,30192000 - საკანცელარიო ნივთები;
ჩატარებული ბაზრის კვლევის შედეგად, შესყიდვის ჯამური ღირებულება განისაზღვრა 1 157 ლარით. მათ შორის CPV კოდის 39560000 ფარგლებში - 1 080 ლარით, ხოლო CPV კოდის 30192000 ფარგლებში - 77 ლარით; მიწოდების ვადა ხუთი დღე;
როგორც მოგეხსენებათ, მითითებული CPV კოდები შედის საქართველოს მთავრობის 20 18 წლის 29 აგვისტოს №446 დადგენილების დანართით განსაზღვრულ ჩამონათვალში და მის ფარგლებში შ ესყიდვის განხორციელებას ესაჭიროება სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თანხმობა.
გთხოვთ, დაგვრთოთ ნება ზემოაღნიშნული შესყიდვა განვახორციელოთ კონსოლიდირებული ტენდერის ფარგლებს გარეთ, კანონმდებლობის მოთხოვნათა დაცვით.

9 მიმაგრებული ფაილი

დანართი N1.xlsx
12K

სამსახურებრივი საჭიროებაზე.pdf
299K

ედესი ჯგუფი - ინვოისი.pdf
78K

პენსანი ჯორჯია - ინვოისი.pdf
60K

geosm - ინვოისი.pdf
110K

ი. მ ირმა ოქრიაშვილი - ინვოისი.pdf
144K

ი. მ ნინო ფაილოძე - ინვოისი.pdf
161K

პენსან ჯორჯიას უარი კონსოლიდირებული ტენდერის ფარგლებში საბეჭდი ქაღალდის მოწოდებაზე.pdf
197K

ინ.მ თემურ ღიბრაძე - ინვოისი.pdf
161K

con spa gov ge <con@spa.gov.ge> 5 აპრილი, 2022, 16:50

ვის: gldani colleje <gldanicolleje@gmail.com>

მოგესალმებით,

სსიპ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტომ განიხილა თქვენი 2022 წლის 4 აპრილის მომართვა, საქართველოს მთავრობის 2018 წლის 29 აგვისტოს N446 დადგენილების დანართით განსაზღვრული ობიექტების შესყიდვასთან (CPV-30100000, 39500000) დაკავშირებით.

გაცნობებთ, რომ ვინაიდან თქვენთვის საჭირო შესყიდვის ობიექტ(ებ)ი, ამ ეტაპზე, არ წარმოადგენს კონსოლიდირებული ტენდერებით განსაზღვრულ შესყიდვის ობიექტ(ებ)ს, სსიპ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტო არ არის წინააღმდეგი მომართვაში ნახსენები ობიექტ(ებ)ის შესყიდვა განახორციელოთ კონსოლიდირებული ტენდერების ფარგლებს გარეთ თქვენი საჭიროებების დაკმაყოფილების მიზნით.

გაითვალისწინეთ, რომ შესყიდვა უნდა განხორციელდეს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესითა და მოთხოვნათა დაცვით, ელექტრონული ტენდერების მეშვეობით.

პატივისცემით,

სსიპ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტო

[ციტირებული ტექსტი დამალულია]